ბრძანება:**№76. 76251509**
თარიღი:**30/05/2025**

საქართველო, ქალაქი ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში სერვისების მომხმარებელთა უკუკავშირის მართვაზე პასუხისმგებელი პირებისა და მათი უფლებამოსილებების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 54-ე მუხლებისა და ,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში სერვისების მომხმარებელთა უკუკავშირის მართვის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ'' ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 21 მაისის №76. 7625141001 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში სერვისების მომხმარებელთა უკუკავშირის მართვაზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრონ:

1.1. **ირმა ფრუიძე -** ამბროლარის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის ფუნქციის შემსრულებელი;

1.2. **მარინე ჯაფარიძე** – ამბროლარის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი;

1.3. **დოდო ზალკალიანი –** ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების განყოფილების ხელმძღვანელი;

1.4. **მირანდა ჯაფარიძე -** ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი;

1.5. **ნინო მაისაშვილი –** ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

1.6. **ნინო რუსიშვილი** – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების განყოფილების პირველი

კატრეგორიის უფროსი სპეციალისტი.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა პასუხისმგებელმა პირებმა უზრუნველყონ:

2.1. **დოდო ზალკალიანმა და ნინო რუსიშვილმა -** ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში სერვისების მომხმარებელთა უკუკავშირის მართვის ფარგლებში სოციალური სერვისის მომხმარებლებისთვის, მატერიალური ფორმით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადების წარმოდგენისას უკუკავშირის სტანდარტიზებული ფორმის **შეთავაზება** (სახელმძღვანელოს დანართი N1); მატერიალური ფორმით შემოსული უკუკავშირის **თავმოყრა** და კანცელარიაში ხელმისაწვდომ უკუკავშირის ყუთში **განთავსება**; თავმოყრილი ფორმების **კვირაში ერთხელ წარდგენა** უკუკავშირის შეგროვებაზე უფლებამოსილი პირისათვის; **კომენტარების რეესტრის წარმოება.**

2.2. **ნინო მაისაშვილმა -** ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში სერვისების მომხმარებელთა უკუკავშირის მართვის ფარგლებში **ელექტრონული ფოსტის რეგისტრაცია** (**ambrolaurismeria@gmail.com**); Google Forms-ში უკუკავშირის **სტანდარტიზებული ფორმების აწყობა;** ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მერიაში განცხადების წარმოდგენისას უკუკავშირის სტანდარტიზებული ფორმის **შეთავაზება** სოციალური სერვისის მომხმარებლებისთვის (სახელმძღვანელოს დანართი N2); მატერიალური ფორმით შემოსული უკუკავშირის ფორმის Google Forms-ში შეყვანა; უკუკავშირის თავმოყრა და უკუკავშირის გაანალიზებაზე პასუხისმგებელი პირისათვის წარდგენა.

2.3. **მარინე ჯაფარიძემ** – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში სერვისების მომხმარებელთა უკუკავშირის მართვის ფარგლებში, უკუკავშირის შეგროვებაზე უფლებამოსილი პირისათვის, სერვისით სარგებლობის დასასრულს მომხმარებელთა ელექტრონული ფოსტის მისამართების კვირაში ორჯერ მიწოდება.

2.4. **ირმა ფრუიძემ** – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში სერვისების მომხმარებელთა უკუკავშირის მართვის ფარგლებში უკუკავშირის შეგროვების პროცესში მონაწილეობა, გაცნობა და ანალიზი; სხვადასხვა საკომუნიკაციო არხიდან სოციალურ სერვისებთან მიმართებით ორგანიზაციაში თავმოყრილი უკუკავშირის და ანალიზის შედეგად 3 თვეში ერთხელ ანგარიშის პირველადი ვერსიის მომზადება; უკუკავშირის თაობაზე შემუშავებული ანგარიშის წარდგენა მერიის სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლებისთვის, მერის მოადგილეებისათვის; უკუკავშირის ანგარიშის გაცნობისა და პირველადი იდეების წარდგენის მიზნით სამუშო შეხვედრის ორგანიზება.

2.5. მირანდა ჯაფარიძემ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში სერვისების მომხმარებელთა უკუკავშირის მართვის ფარგლებში მერიის ვებგვერდზე, ასევე სოციალურ ქსელში მომხმარებელთა უკუკავშირის ანალიზის შედეგებისა და გადაწყვეტების ამსახველი ანგარიშების განთავსება, მომხმარებელთა ინფორმირების მიზნით.

3.ამ ბრძანებით განსაზღვრულმა უფლებამოსილმა პირებმა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში სერვისების მომხმარებელთა უკუკავშირის მართვის ფარგლებში იხელმძღვანელონ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 21 მაისის №76. 7625141001 ბრძანებით დამტკიცებული ,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში სერვისების მომხმარებელთა უკუკავშირის მართვის სახელმძღვანელო’’-ს შესაბამისად.

4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში სერვისების მომხმარებელთა უკუკავშირის მართვა განხორციელდეს 2025 წლის 01 ივნისიდან.

5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება დაევლოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს თამარ ქევანაშვილს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ამბროლაური კოსტავას ქ. №13).

7. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ზვიადი მხეიძე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია-
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი